გამწვანების პროექტი

TASHUB

საპროექტო არეალი: ქ. თბილისი,
დოლაბაურის II ხევი, N35, მდ. მტკვრის
მარცხენა სანაპირო, ს.კ:01.17.13.048.186;
ფართობი:1729 კვ.მ/კ-ზ=545.8 კვ.მ
მესაკუთრე: შპს "ავლაბარი ჰოტელსი"
პროექტის შემსრულებელი: შპს "ტასჰაბი"

განმარტებითი ბარათი

საპროექტო ტერიტორია: ქ. თბილისი, დილაბაურის II ხევი N35, მტკვრის მარცხენა სანაპირო, ნაკვეთი N48/003; ს.კ: 01.17.13.048.186;
ნაკვეთის ფართობი:2729 კვ.მ. კ-3 ასატვისებელი ფართობი 545.8 კვ.მ (სსზ-2. კოეფიციენტი: 0.2).
ტერიტორიაზე განთავსებულია 78 ძირი ნარგავი,
საპროექტო არეალში მოყოლილი 20 ძირი ხილკენკროვანი ნარგავი (დიამეტრით 12 სმ ზე ნაკლები) მოიჭრება. 9 ძირი მწვანე ნარგავი (N1,N45,N19,N20,N8,N17,N23,N11,N7)გადაირგვება.
ხოლი 6 ძირიხმობადი და ზეხმელი ნარგავი (N21, N22, N24, N39, N40, N42) მოიჭრება და სანაცვლოდ დაირგვება 6 ზირი ახალი ნარგავი, რომელიც გათვალისწინებულია გამწვანების პროექტში (15 ძირი კავკასიური ცაცხვიდან, 6 ძირი საკომპენსაციო რგვისთვის გათვალისწინებული)
დანარცენი ნარგავები შენარცუნდება არსებული სახით.

ტერიტორიაზე ახალი გამწვანებული სივრცის ოსაწყობად დაირგვება:
15 ძირი კავკასიური ცაცხვი(აქედან 6 ძირი საკომპენსაციო)
5 ძირი ჰიმალაის კედარი
წიწვოვნების სიმარლე იქნება არანაკლებ 3.5 მეტრი,
ფოთლოვნების სიმაღლე არანაკლებ 3.5 მეტრი,
ღეროს გარშემოწერილობა ყველა მათგანისატვის არანაკლებ 20 სმ.

WWW.TASHUB.GE

დ ა ს კ ვ ნ ა

მწვანე ნარგავების (მერქნიანი ხე-მცენარეების) სახეობრივი მდგომარეობის, ხარისხობრივი შეფასების და გადარგვის შესახებ

2019 წლის 31 აგვისტოს მისამართზე: ქ. თბილისი, II დოლაბაურის ხევი N 35 და მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, წერნაკის ქუჩის ასახვევის მიმდებარე (ნაკვეთი N 48/003) ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: 01.17.13.048.003 და 01.17.13.048.044), რომლის ფართობია 462 მ^2 და 2 267 მ^2 , ხოლო ორივე ნაკვეთის მესაკუთრე შ.პ.ს ,,ავლაბარი ჰოთელს“ (ID: 405334598), მეტყევე-სპეციალისტის გიორგი კაპანაძის მიერ (მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების დასკვნის გამცემი უფლებამოსული პირი, ექსპერტი) შემოწმდა მწვანე ნარგავების სახეობრივი მდგომარეობა და გაკეთდა მათი ხარისხობრივი შეფასება.
ტერიტორიაზე განლაგებულია 78 ძირი ფოთლოვანი და წიწვოვანი მწვანე ნარგავი, მათ შორის 41 ძირი ხილ-კენკროვანი.

დამკვეთს, სურვილი აქვს მოჭრას მიწის ნაკვეთზე არსებული 27 ძირი ხე-მცენარე (N4, N9, N10, N13, N21, N22, N24, N25, N26, N27, N28, N29, N30, N31, N32, N33, N34, N35, N36, N37, N38, N39, N40, N41, N42,N43 და N44), რომელთაგან 3 ძირი ზეხმელია (N13, N 22 და N 24), 4 ძირი ფაუტი (N 21, N 39, N 40 და N42) და 1 ძირი დიდტანიანი ჭადრის ხე (N10). მოსაჭრელ ხემცენარეებს შორის 20 ძირი ხილკენკროვანია (N4, N 9, N13, N25, N26, N27, N28, N 29, N 30, N 31, N 32, N 33, N 34, N35,N 36, N 37, N 38, N41,N43 და N 44).

დამკვეთს აგრეთვე სურვილი აქვს გადარგოს იმავე საკადასტრო კოდზე N1, N7, N8, N 11, N17, N19, N20, N 23 და N45 მერქნიანი ხე-მცენარე, სულ 9 ძირი.

ხის დიამეტრის, სიმაღლის, ფესვთა სისტემის და მიწის გრუნტის გათვალისწინებით გამოყენებული უნდა იყოს სპეციალური ტექნიკით გადარგვა N1, N8, N11, N17, N19, N20 და N45 ხისათვის. პირველ ეტაპზე უნდა ამოითხაროს ორმო, რომელშიც ჩაირგება გადასარგავი ხე-მცენარე. ორმოს სიმაღლე და სიგანე უნდა იყოს იმ ზომის, რომ ხე-მცენარე ძალიან თავისუფლად ეტეოდეს ორმოში. ხე უნდა გადაიბელოს ისეთ სიმაღლეზე, რომ შეუნარჩუნდეს ვარჯების საკმარისი რაოდენობა შემდგომი სასიცოცხლო ფუნქციის შენარჩუნებისთვის და გაგრძელებისთვის. ექსკავატორის საშუალებით მოითხრება მიწა გადასარგავი ხე-მცენარეების გარშემო

ისეთი სიდიდით, რომ მათი ფესვთა სისტემა და განსაკუთრებით მთავარი ფესვი არ დაზიანდეს. ეს კი მიღწევადია, ხის გარშემო მიწის მოთხრით ხის ფესვის ყელიდან 90 – 130 სმ–ის რადიუსით (დამოკიდებულია ხის დიამეტრის სიმსხოზე). ექსაკავატორის ე.წ. „კოვშის“ საშუალებით ხე აწეული უნდა იქნას მაღლა, რომ ძირითადი ფესვი (და დამატებითი ფესვებიც) წაეჭრას. ასევე მოხდეს ამ ფესვებისა და მიწის, რომელიც ფესვებს გაყვება შეკვრა ერთმანეთზე გადაკერებული (წინასწარ ტომარას გაამზადებენ საჭირო ზომისას) ტომრებით, ხოლო ტომრებს შეკრავენ მსხვილი ბაწრით. ვინაიდან ხე გადასარგავია გვერდით ტერიტორიაზე (დაახლოებით 20-25 მეტრის მანძილზე), ხეს ძირიდან ასწევენ ექსკავატორის ე.წ. „კოვშის“ საშუალებით, იმის გათვალისწინებით, რომ ხემ წონასწორობა შეინარჩუნოს (ეს აუცილებელი პირობაა გადატანის დროს). საჭიროა ხის ვარჯის ძირში შემოეკრას რეზინის ან კაუჩუკის ფურცლები (რომ არ დაზიანდეს ხის ღერო) და ამწეს (გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ხის წონა მიწიანად შესაძლებელია იყოს 1,0 – 2.5 ტონა, ამიტომ ამწეს ტვირთამწეობა უნდა იყოს არა ნაკლები 5 ტონა) ჯალამბარის გამოყენებით ვერტიკალურ მდგომარეობაში აიწიოს და გადატანილ იქნას სპეციალურად მომზადებულ ორმოში, სადაც ხის ჩარგვამდე უნდა ჩაისხას ზრდის სტიმულატორი „რაანი“ 1 – 2 ლიტრი, ჩაისხას 50 – 60 ლიტრი წყალი და ტომრებიანად ჩაისვას ორმოში ვერტიკალურ მდგომარეობაში. მიწის ჩაყრის დროს პერიოდულად მიწა უნდა დაიტკეპნოს (მუდმივად ამ პროცესის მიმდინარეობისას ყურადღება მიექცეს იმ გარემოებას, რომ ხემ ვერტიკალური მდგომარეობა შეინარჩუნოს). შემდგომში აუცილებელია შეირჩეს პასუხისმგებელი პირი, რომელიც პასუხისმგებელია, რომ ხე–მცენარე რეგულარულად მორწყას. პირველი ერთი კვირის მანძილზე დღეში ორჯერ – დილას და საღამოს 40-50 ლიტრის ოდენობის წყლის დასხმით სპეციალურად მოწყობილ ჯამში (მიწის შემაღლებული ფენა, რომელიც ხე–მცენარის ფესვის ყელის გარშემო იქნება შემოვლებული – წვიმიან ამინდშიც კი). მომდევნო ერთი კვირის მანძილზე კიდევ 30-40 ლიტრამდე ოდენობის წყლის დასხმით დილაობით. გადარგული ნარგავის მოვლის (რწყვა და მიწის გაფხვიერება) სამუშაოები უნდა გაგრძელდეს გაზაფხულზეც და შემდგომი 3 წლის განმავლობაში. განსაკუთრებული მოვლა დასჭირდება ზაფხულის ცხელი დღეების პერიოდში, დილით ადრე ან საღამოს დაბინდებამდე.

მარტივი გადარგვა ანუ სპეციალური ტექნიკის გამოყენების გარეშე გადარგვას ექვემდებარება N7-ე და N23-ე ხე-მცენარე. მარტივი გადარგვის წესით გადარგვა მოხდება უფლებამოსილი ორგანოს ზედამხედველობით დამკვეთის მიერ შერჩეულ ადგილზე აგროტექნიკური პირობების დაცვით. მერქნიანე მცენარეების სიმაღლის, დიამეტრის და ფესვთა სისტემის გამომდინარე, ამ ხეების ფესვის ყელის ღეროს გარშემო წრიულად 30 - 50 სმ-ის რადიუსით ნიადაგი მოითხრება იმგვარად, რომ არ დაზიანდეს ნარგავის ფესვთა სისტემა. ზედმეტი პატარა ამონაყრისაგან განთავისუფლდეს გადარგვამდე ხე-მცენარე, ისე რომ ქერქი არ დაზიანდეს. ორმოს

სიღრმე იქნება იმ ზომის გათვალისწინებით, რომ ფესვთა სისტემა მიწის კომთან ერთად უნდა იყოს ნარგავის სიმაღლის მესამედი. გადარგვა უნდა მოხდეს გათხრილ ორმოში იმ პირობით, რომ ორმოს სიგანე და სიღრმე უნდა იყოს საკმარისი, რომ გადარგული ნარგავის ფესვები თავისუფლად ჩაეტიოს ორმოში. გადარგვამდე ორმოში უნდა ჩაისხას წყალი, რომ მიწა გაიჟიჟოს წყლით. სასურველია მიწაში ჩაიყაროს ორგანული სასუქების ნაზავი და ჩაისხას ზრდის სტიმულატორი „რაანი“. ხე-მცენარის ჩარგვის შემდეგ ის უნდა გამაგრდესხის ხის არ რკინის ბოძებით, რომ ქარმა არ წააქციოს. გადარგვიდან ერთი თვის განმავლობაში რეგულარულად უნდა მოირწყას, გაუფხვიერდეს მიწა ღეროს გარშემო, გაუკეთდეს ჯამი წყლის (წვიმის წყლისთვისაც) შესაკავებლად. გადარგული ხე-მცენარეების მოვლის (რწყვა და მიწის გაფხვიერება) სამუშაოები უნდა გაგრძელდეს გაზაფხულზეც და შემდგომი 3 წლის განმავლობაში. განსაკუთრებული მოვლა დასჭირდება ზაფხულის ცხელი დღეების პირობებში, დილით ადრე ან საღამოს დაბინდებამდე უნდა მოირწყას იმ ანგარიშით, რომ ყოველი ხე-მცენარის ნიადაგმა ცალ–ცალკე ერთი ვედროს (20-30 ლიტრი) ოდენობის წყალი შეიწოვოს. მიწის გაფხვირება და სარეველა ბალახებისაგან გასუფთავება უნდა მოხდეს როგორც გაზაფხულზე, ასევე შემოდგომით. გამხმარი ან ენტო და ფიტო მავნებლით დაზიანებული ტოტები მოიჭრას და ხე-მცენარეები შეიწამლოს.

დანარჩენ ხე-მცენარეებს (N2, N3, N5, N6, N12, N14, N15, N16, N18, N46–დან N78–ის ჩათვლით) დამკვეთი ამ ეტაპზე ადგილზე ტოვებს.

ცხრილში მოცემულია ქ. თბილისში, II დოლაბაურის ხევი N 35-ის და მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, წერნაკის ქუჩის ასახვევის მიმდებარე (ნაკვეთი N 48/003) ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: 01.17.13.048.003 და 01.17.13.048.044) ხე-მცენარეების სახეობები, ფიზიკური მდგომარეობა და დიამეტრები მიწის ზედაპირიდან 10 სმ სიმაღლეზე:

ცხრილი N 1

ხის №	მერქნიანი სახეობა	დიამეტრი მიწის პირიდან 10 სმ-ზე	ხის მდგომარეობა	შენიშვნა
1	2	3	4	5
1	თუთა-Morus alba	16	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
2	იფანი- Fraxinus excelsior	40	ჯანსაღი	ამონაყრითი, 2 ც.
3	ფიჭვი ელდარის- Pinuc eldarica	42	ჯანსაღი	

4	ტყემალი - Prunus ssp;	8-12	ჯანსაღი	ხილკენკროვანი, ამონაყრითი, 2 ც.
5	ფიჭვი ელდარის- Pinuc eldarica	51	ჯანსაღი	
6	ჩვეულებრივი კაკალი -Juglans regia	49	ჯანსაღი	
7	აილანთუსი- Ailanthus altissima	4-8	ჯანსაღი	ამონაყრითი, 2 ც.
8	გლედიჩია - Gleditsia	32	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
9	ლეღვი - Ficus carica;	48	ჯანსაღი	ხილკენკროვანი
10	ჭადარი -Platanus orientalis	96	ჯანსაღი	არ ექვემდებარება გადარგვას, ფესვის ყელის და ღეროს დაზიანება
11	ჭადარი -Platanus orientalis	52	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
12	წნორი -Salix alba;	27	ჯანსაღი	
13	ტყემალი -Prunus ssp;	16	ხმობადი	ხილკენკროვანი
14	კანადური ვერხვი - Populus deltoids;	45	ჯანსაღი	
15	კანადური ვერხვი - Populus deltoids;	41	ჯანსაღი	
16	კანადური ვერხვი - Populus deptoides;	29	ჯანსაღი	
17	თეთრი ხვალო - Populus alba	47	ჯანსაღი	
18	წნორი -Salix alba	44	ჯანსაღი	
19	წნორი -Salix alba	28	ჯანსაღი	
20	წნორი - Salix alba	40	ჯანსაღი	ორკაპი
21	წნორი -Salix alba	52	ფაუტი	ნაბელი
22	წნორი -Salix alba	68	ზეხმელი	ნაბელი

23	კვიდო- Ligustrum	8	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
24	წნორი -Salix alba	51	ზეხმელი	ნაბელი
25	ტყემალი - Prunus ssp;	5,9,12	ჯანსაღი	ხილკენკროვანი, ამონაყრითი, 3 ც.
26	ტყემალი -Prunus ssp;	16,24	ჯანსაღი	ხილკენკროვანი, ამონაყრითი, 2 ც.
27	კომში -Cydonia oblonga;	12,16,18,22,32	ჯანსაღი	ხილკენკროვანი, ამონაყრითი, 5 ც.
28	კომში -Cydonia oblonga;	1-4	ჯანსღი	ხილკენკროვანი, ამონაყრითი, 15 ც.
29	კომში -Cydonia oblonga;	1-4	ჯანსაღი	ხილკენკროვანი, ამონაყრითი, 14 ც.
30	კომში -Cydonia oblonga;	1-4	ჯანსაღი	ხილკენკროვანი, ამონაყრითი, 10 ც.
31	ტყემალი -Prunus ssp;	16	ჯანსაღი	ხილკენკროვანი
32	ლეღვი - Ficus carica;	5,8,11,36,41,44	ჯანსაღი	ხილკენკროვანი, ამონაყრითი, 6 ც.
33	ლეღვი - Ficus carica;	5,18,48	ჯანსაღი	ხილკენკროვანი, ამონაყრითი, 3 ც.
34	ლეღვი - Ficus carica;	8,9,25,28,40	ჯანსაღი	ხილკენკროვანი, ამონაყრითი, 5 ც.
35	ალუბალი -Prunus cerasus;	6	ჯანსაღი	ხილკენკროვანი
36	ალუბალი -Prunus cerasus	4	ჯანსაღი	ხილკენკროვანი
37	ალუბალი -Prunus cerasus	4	ჯანსაღი	ხილკენკროვანო
38	ქლიავი -Prunus ssp;	18	ჯანსაღი	ხილკენკროვანი, ნაბელი
39	თუთა-Morus alba	56	ფაუთი	ნაბელი
40	თუთა-Morus alba	48	ფაუტი	ნაბელი
41	ტყემალი -Prunus ssp;	5,11,12	ჯანსაღი	ხილკენკროვანი, ამონაყრითი, 3 ც.
42	თუთა-Morus alba	40 ,80	ფაუტი	ამონაყრითი, 2 ც

43	ლეღვი - Ficus carica;	8,9,13,14,14	ჯანსაღი	ხილკენკროვანი, ამონაყრითი, 5 ც.
44	ლეღვი - Ficus carica;	12	ჯანსაღი	ხილკენკროვანი
45	თუთა-Morus alba	5,9,9,15,18,24	ჯანსაღი	ამონაყრითი, 6 ც, ექვემდებარება გადარგვას
46	თუთა-Morus alba	5,5,5,19,21,27,28	ჯანსაღი	ამონაყრითი, 7ც
47	თეთრი ხვალო - Populus alba;	36	ჯანსაღი	
48	თეთრი ხვალო - Populus alba;	24,48	ჯანსაღი	ამონაყრითი, 2 ც.
49	ლეღვი - Ficus carica;	8,26,28	ჯანსაღი	ხილკენკროვანი, ამონაყრითი, 3 ც.
50	ლეღვი - Ficus carica;	5,5,5,7,21,24	ჯანსაღი	ხილკენკროვანი, ამონაყრითი, 6 ც.
51	ტყემალი -Prunus ssp;	5,5,6,6,7,12,13,16	ჯანსაღი	ხილკენკროვანი, ამონაყრითი, 8 ც.
52	ტყემალი -Prunus ssp;	5,5,7,16,17,20	ჯანსაღი	ხილკენკროვანი, ამონაყრითი, 6 ც.
53	თუთა-Morus alba	12,19,28	ჯანსაღი	ამონაყრითი, 3 ც
54	თუთა-Morus alba	20-24	ჯანსაღი	ამონაყრითი, 2 ც
55	ბროწეული -Punica granatum;	20	ჯანსაღი	ნაბელი
56	ფშატი- Elaegnus angustifolia	20 , 42, 60	ჯანსაღი	ხილკენკროვანი, ამონაყრითი, 3ც
57	აილანთუსი- Ailanthus altissima	20	ხმობადი	
58	აილანთუსი- Ailanthus altissima	14	ხმობადი	
59	ხურმა- Diospyros koki;	14	ჯანსაღი	ნაბელი
60	ტყემალი -Prunus ssp;	34	ჯანსაღი	ხილკენკროვანი,
61	ბროწეული -Punica granatum;	1-4	ჯანსაღი	ხილკენკროვანი, ამონაყრითი, 5 ც.

62	კომში -Cydonia oblonga;	24	ჯანსაღი	ხილკენკროვანი, ნაბელი
63	ლეღვი - Ficus carica;	1-4	ჯანსაღი	ხილკენკროვანი, ამონაყრითი, 5 ც.
64	მსხალი -Pyrus ssp;	40	ჯანსაღი	ხილკენკროვანი
65	მოცხარი -Ribes ssp;	1-4	ჯანსაღი	ხილკენკროვანი, ამონაყრითი, 10 ც.
66	ჟასმინი - Jasminum	1-4	ჯანსაღი	ამონაყრითი, 10 ც
67	ვაზი -Vitus ssp;	6	ჯანსაღი	ხილკენკროვანი
68	თუთა-Morus alba	8, 11,24	ჯანსაღი	ამონაყრითი, 3 ც.
69	ლეღვი - Ficus carica;	8, 9,11, 20	ჯანსაღი	ხილკენკროვანი, ამონაყრითი, 4 ც.
70	ხურმა -Diospyros lotus;	24	ჯანსაღი	
71	თუთა-Morus alba	28	ჯანსაღი	
72	ხურმა - Diospyros lotus;	26	ჯანსაღი	
73	ლეღვი - Ficus carica;	8,11, 16, 21,24	ჯანსაღი	ხილკენკროვანი, ამონაყრითი, 5 ც.
74	ლეღვი - Ficus carica;	5,5,7,12,16,40	ჯანსაღი	ხილკენკროვანი, ამონაყრითი, 6 ც.
75	ტყემალი -Prunus ssp;	8.1-12	ჯანსაღი	ხილკენკროვანი, ამონაყრითი, 2 ც.
76	ტყემალი -Prunus ssp;	4.1-8	ჯანსაღი	ხილკენკროვანი, ამონაყრითი, 3 ც.
77	ტყემალი -Prunus ssp;	8.1-12	ჯანსაღი	ხილკენკროვანი, ამონაყრითი, 3 ც.
78	ლეღვი - Ficus carica;	4.1-8	ჯანსაღი	ხილკენკროვანი, ამონაყრითი, 2 ც.

მწვანე ნარგაობის (მერქნიანი ხე-მცენარეების)დასურათება მისი ნომერაციის მიხედვით:

1. თუთა



2.იფანი



3. ელდარის ფიჭვი



4.ტყემალი



5. ელდარის ფიჭვი



6.კაკალი



7. აილანთუსი



8.გლედიჩია



9.ლელვი



10.ჭადარი



11. ჭადარი



12. წნორი



ვ. ჯავახიშვილი

13. ტყემალი



14. კანადური ვერხვი



15. კანადური ვერხვი



16. კანადური ვერხვი



17. თეთრი ხვალო



18. წნორი



19. წნორი



20. წნორი



21. წნორი



22. წნორი



23. კვიდო



24. წნორი



25. ტყემალი



26. ტყემალი



27. კომში



28. კომში



29. კომში



30. კომში



31. ტყემალი



32. ლეღვი



გ. კ[illegible]

33. ლელვი



34.ლელვი



35. ალუბალი



36.ალუბალი



37. ალუბალი



38.ქლიავი



39. თუთა



40.თუთა



41. ტყემალი



42. თუთა



43. ლეღვი



44. ლეღვი



45. თუთა



46. თუთა



47. თეთრი ხვალი



48. თეთრი ხვალო



გ. ვან. ნ

49. ლელვი



50. ლელვი



51. ტყემალი



52. ტყემალი



გ. ვასაძე

53. თუთა



54. თუთა



55. ბროწეული



56. ფშატი



57. აილანთუსი



58.აილანთუსი



59. ხურმა



60. ტყემალი



გ. კან. ნ

61. ბროწეული



62.კომში



63. ლეღვი



64.მსხალი



გ. კ.

65. მოცხარი



66. ჟასმინი



67. ვაზი



68.თუთა



გ. კასრ

69. ლელვი



70. ჩვ. ხურმა



71. თუთა



72. ჩვ. ხურმა



გ. ვანიე

73. ლეღვი



74.ლეღვი



75. ტყემალი



76. ტყემალი



77. ტყემალი 78. ლეღვი



ხეების ვიზუალური დათვალიერება განახორციელა გიორგი კაპანაძემ, რომელიც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 28 ივნისის N 1-369 ბრძანებით დარეგისტრირდა გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის მონაცემთა ბაზაში მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასებაზე დასკვნის გამცემ უფლებამოსილ პირად.

დანართი:1 გვ და CD დისკი.

შემსრულებალი გიორგი კაპანაძე

მეტყევე-ექსპერტი: Tel: 593 102844

ელ. ფოსტა: Giokapana14@gmail.com 595 00 00 49



topografiuli gegma

misamarTi: q. Tbilisi, md. mtkvis marcxena sanapiroze, wernakis quCis asaxvevis, mimdebared (nakv. 48/003) / q. Tbilisi, II dolabauris xevis #35

01.17.13.048.003 ----- 2267kv.m.

01.17.13.048.044 ----- 462kv.m.

#1

#2

#3

#3

01.17.13.048.003

01.17.13.048.044

01.17.13.048.003

leviisis sanapiro

leviisis sanapiro

md. mtkvari

md. mtkvari

md. mtkvari

486300

4614500

SeniSvna: xeebi danomriLia saeqsperto daskvnis eqspert metyevis giorgi kapanaZis daskvnis SesabamisadN

SeniSvna: miwis samuSaoebi SeaTanxmeT Sesabamis komunikaciis warmomadgenlebTanN

SeniSvna: topografiul naxazze xazovani nagebobebi datanilia registirebuli monacemebidan

pirobiTi aRniSvnebi												
kanalizacia	buCqi	nakveTis sazRvari	Robe-mavTulbade	transformatori	i.m. `giorgi SioSvili~							
denis kabeli	gazoni	Senoba	xis Robe	radio - telefonis anZa								
gazis mili	sameTvalyureo Webi	arka	bordiuri	lampionebi								
wylis mili	Sadrevani	farduli	betoni	eleqtro boZi	Seasrula		g. SioSvili					
kavSirgaabmeulobis	onkani	kibe	kedeli	rkinigza	direqtori		g. SioSvili					
	wyaro anWa	vazi	sayrdeni kedeli	izohifsi								
	benzingasamarTi sadguri	foTlovani xe	biliki	SuqniSani	1:500		18.03.2019w.					
	maRali Zabvis gadamcemi	wiwvovani xe	gzis konturi	sagzao niSani								
		xexilis xe	flate									
		palma										

წერილის ნომერი: **18-01200223240**
თარიღი: **22/01/2020**
პინი: **3271**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა (შემდგომში მოხსენებული, როგორც „სამსახური“) განიხილა თქვენი 2020 წლის 14 იანვრის #60-012001422 წერილი და AR1697115 განაცხადით ატვირთული დოკუმენტაცია, რომლითაც მოქალაქე სერგი გიორგაიას მომართვის საფუძველზე ითხოვთ, შპს ,,ავლაბარი ჰოთელსის“ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ქ. თბილისი, II დოლაბაურის ხევი N35, მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, წერნაკის ქუჩის ასახვევის მიმდებარედ (ნაკვეთი N48/003) N01.17.13.048.044, N01.17.13.048.003) (სსზ-2) IV კლასის საყოფაცხოვრებო ობიექტის/სასტუმროს განთავსების მიზნით, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების ეტაპზე, მწვანე ნარგავებთან დაკავშირებით სამსახურის პოზიციის დაფიქსირებას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად (საექსპერტო დასკვნა, ტოპო. გეგმა შენობის განთავსების სქემით და მწვანე ნარგავებით, ფოტოსურათები, გადარგვის ტექნიკური დოკუმენტაცია, ხელშეკრულება გადარგვის მომსახურების შესახებ) ტერიტორიებზე არსებული მწვანე ნარგავების საერთო რაოდენობა **78 ერთეულია.** დაგეგმილი პროექტის განხორციელებას აფერხებს **36 ძირი ხე.** განმცხადებლის განმარტებით იგეგმება საღი ხეების გადარგვა, ხოლო ხილ-კენკროვანი და ზეხმელი, ხმობადი, ფაუტი ხეების მოჭრა.

გაცნობებთ, რომ ,,ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,კანონი“) მე-7 მუხლის მე-5 პუნქტისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-55 დადგენილებით დამტკიცებული ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის“ (შემდგომში მოხსენებული, როგორც „დადგენილება“) 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე ხილ-კენკროვანი ნარგავების მოჭრა/გადარგვა არ საჭიროებს წერილობითი ნებართვის გაცემას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაინტერესებული პირი გეგმავს 15 და მეტი, 12 სმ-ზე მეტი დიამეტრის ხილ-კენკროვანი ნარგავის მოჭრას. ამდენად, საპროექტო ტერიტორიაზე განთავსებული **20 ძირი ხილ-კენკროვანი ხის (#4, #9, #13, #25-#38, #41, #43, #44, მათგან მხოლოდ 10 ძირის დიამეტრი აღემატება 12სმ-ს) მოჭრა ან/და გადარგვა ნებართვას არ საჭიროებს.**

რაც შეეხება, **1 (ერთი) ძირი ფაუტი წნორის (#21-D52სმ), 2 (ორი) ძირი ზეხმელი წნორის (#22-D68სმ, #24-D51სმ) და 3 (სამი) ძირი ფაუტი თუთის ხის (#39-D56სმ, #40-D48სმ, #42-D40-80სმ)** საკითხს, რომლებიც განთავსებულია საპროექტო ტერიტორიაზე და აფერხებს დაგეგმილი მშენებლობის განხორციელებას, კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და დადგენილების 26-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე სამსახური თანახმაა გასცეს მათი მოჭრის ნებართვა, როდესაც დადგენილების 26-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად განმცხადებელი წარმოადგენს საკომპენსაციო რგვისთვის საჭირო საქონლის შესყიდვისა და მომსახურების თაობაზე გაფორმებულ ხელშეკრულებას, მშენებლობის ნებართვის მიღების შემდეგ (ხელშეკრულებაში უნდა მიეთითოს შეძენილი მცენარის სახეობა, ზომა და შემდგომი სამ წლიანი მოვლა-პატრონობის ვალდებულება).

დადგენილების 26^1-ე მუხლის საფუძველზე, მესაკუთრეს ევალება საკომპენსაციო რგვის ფარგლებში

იმავე ტერიტორიაზე **6 (ექვსი) ძირი ფოთლოვანი ან წიწვოვანი ხის დარგვა (წიწვოვანის შემთხვევაში არანაკლებ 3.0 მ სიმაღლის, ხოლო ფოთლოვანის შემთხვევაში არანაკლებ 3.5მ, გარშემოწერილობა არანაკლებ 20 სმ).** საკომპენსაციო რგვის ვალდებულება მოიცავს, როგორც ნერგის დარგვას, ასევე მის შემდგომ მოვლა-პატრონობას დარგვიდან სამი წლის განმავლობაში.

რაც შეეხება საპროექტო ტერიტორიაზე განთავსებული **9 (ცხრა)** ძირი მწვანე ნარგავის **(2 ძირი თუთა #1-D16სმ, #45-D5-24სმ, 2 ძირი წნორი #19-D28სმ, #20-D40სმ, 1 ძირი გლედიჩია #8-D32სმ, 1 ძირი თეთრი ხვალო #17-D47სმ, 1 ძირი კვიდო #23-D8.0სმ, 1 ძირი ჭადარი #11-D52სმ, 1 ძირი აილანთუსი #7-D4-8სმ)** საკითხს, რომლებიც ცალსახად აფერხებს მშენებლობას, მათი გადარგვის შესაძლებლობა დადასტურებულია ექსპერტის მიერ, დიდტანოვანი ხეების შემთხვევაში წარმოდგენილია გადარგვის ტექნიკური დოკუმენტაცია და ხელშეკრულება გადარგვის მომსახურების შესახებ, იმის გათვალისწინებით, რომ ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნების მიზნით მწვანე ნარგავების გადარგვას ენიჭება უპირატესობა მოჭრასთან მიმართებით, დადგენილების მე-2 თავის 21-ე, 21^1-ე და 21^2-ე მუხლების საფუძველზე, სამსახური თანახმაა გასცეს ხეების იმავე საკადასტრო ერთეულში გადარგვის ნებართვა მშენებლობის ნებართვის მიღების შემდეგ, როდესაც დაინტერესებული პირი მოიპოვებს მშენებლობის ნებართვას/წერილობით თანხმობას და წარმოადგენს გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურში.

რაც შეეხება, საპროექტო არეალში განთავსებული **1 ძირი საღი ჭადრის ხის (#10-D96სმ)** საკითხს, ვინაიდან აღნიშნული ნარგავი არის დიდტანოვანი, ხანდაზმული ეგზემპლარი ღეროს დაზიანებით, აფერხებს დაგეგმილი მშენებლობის განხორციელებას და მისი მოჭრით არ დაირღვევა ტერიტორიაზე არსებული ეკოლოგიური წონასწორობა, კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის ,,გ'' ქვეპუნქტისა და დადგენილების 26-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,გ'' ქვეპუნქტის საფუძველზე სამსახური თანახმაა გასცეს ხის მოჭრის ნებართვა, მშენებლობის ნებართვის მიღების შემდეგ, როდესაც განმცხადებელი წარმოადგენს ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების შესაბამის საკომპენსაციო ღონისძიების განხორციელების-აღდგენითი ღირებულების თანხის გადახდის ქვითარს, რომელიც შეადგენს 1000 (ათასი) ლარს (საბიუჯეტო შემოსავლების სახაზინო კოდი-#300773292 ბანკის კოდი-TRESGE22).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური გასცემს დადებით რეკომენდაციას მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენასთან დაკავშირებით.

აქვე ინფორმაციის სახით მოგახსენებთ, რომ ვინაიდან ტერიტორიაზე იგეგმება IV კლასის ობიექტის მშენებლობა, პროექტის შეთანხმების ეტაპზე სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის სამსახურს უნდა წარედგინოს გამწვანების პროექტი, სადაც განმცხადებელმა უნდა გაითვალისწინოს შემდეგი პირობები: მაღალპროდუქტიული კორომების შექმნისა და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, სამსახური უპირატესობას ანიჭებს ხეების დარგვას ბუჩქებთან და გაზონთან მიმართებით, მცენარეების რაოდენობა უნდა განისაზღვროს შემდეგი პროპორციით-10-12 კვ. მეტრი 1 ძირი მცირე ზომის ვარჯის მქონე ხისთვის, ხოლო 20-25 კვ. მეტრი დანარჩენი წიწვოვანი და ფოთლოვანი ხეებისთვის.

წიწვოვანი ხის დარგვის შემთხვევაში ნერგის სიმაღლე უნდა იყოს არანაკლებ 3 მეტრი, ხოლო ფოთლოვანის შემთხვევაში-არანაკლებ 3.5 მეტრი. დარგული ნერგის გარშემოწერილობა უნდა იყოს არანაკლებ 20 სანტიმეტრი.

საკომპენსაციოდ დასარგავი და გასამწვანებელი მცენარეების სახეობები (ვერხვის/ალვის ხის, კვიპაროსის, ელდარისა და შავი ფიჭვის გარდა) უნდა შეირჩეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის #05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან.

გაცნობებთ, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და მის შემოგარენში, ელდარისა და შავი ფიჭვის სახეობებში მასობრივად არის გავრცელებული მავნებლებით გამოწვეული დაავადებები, რაც იწვევს მათ დაზიანებასა და ხმობას. შესაბამისად, დაავადების გავრცელების ან/და ახალი კერების წარმოქმნის პრევენციის მიზნით, სამსახურს გამწვანების პროექტში მიზანშეწონილად არ მიაჩნია ამ სახეობის ფიჭვების დარგვა.

ვერხვის/ალვის სახეობები ტენის მოყვარული მალე მზარდი ხეებია, მათ გააჩნიათ საკმაოდ ძლიერი ფესვთა სისტემა, რომელიც ვითარდება წყლის მიმართულებით. შესაბამისად, ურბანულ სივრცეებში, შენობა-ნაგებობების, წყალ-გაყვანილობისა და კანალიზაციის მილების დაზიანების გამომწვევი მიზეზი ხშირად ხდება. ასევე, მათი დაბალი ამორტიზაციის ასაკის გამო ვერხვის მტვრევადი ტოტები და წაქცევის საშიშროება საფრთხეს უქმნის მოსახლეობასა და კერძო საკუთრებას. აგრეთვე, ყვავილობის პერიოდში ვერხვის ბუსუსოვანი თესლი ჰაერში აქტიურად იფანტება და სერიოზულ საფრთხეს უქმნის

ალერგიის მქონე ადამიანებს; ასევე, ვინაიდან ვერხვი თავისი ჰაბიტატითა და სასიცოცხლო ფუნქციით ტენიანი ტერიტორიების ბინადარია და მისი აგრო-დეკორატიული დანიშნულება ქარსაცავი ზოლის შექმნაა, ის უნდა დაირგოს დასახლებიდან მოშორებით. შესაბამისად, შესაძლო ზიანის პრევენციისათვის, მიზანშეწონილი არ არის ალვის ხის დარგვა ინტენსიურად დასახლებულ უბნებში.

აქვე გაცნობებთ, რომ შერეული, მაღალპროდუქტიული კოროძების ჩამოყალიბება ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების სავალდებულო წინაპირობაა, ამდენად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია გამწვანების პროექტის ფარგლებში, ერთი სახეობის მწვანე ნარგავების ნაცვლად, ტერიტორია გამწვანდეს შერეული ტიპის ნარგავებით, როგორც წიწვოვანი ისე ფოთლოვანი.

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
(საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი



ფორმატი	დაკვეთა №	პროექტი №	ფაილის სახელი
A3			

პირობითი აღნიშვნები

საკადასტრო საზღვარი

გადასარგველი ხეები

დასარგავი წიწვოვანი ხეები

დასარგავი ფოთლოვანი ხეები

(3) მცენარის ნომერი ექსპლიკაციაში

დასარგავი ხეები:
15 ძირი კავკასიური ცაცხვი
5 ძირი ჰიმალაის კედარი
გადაირგვება, 9 ძირი ნარგავი

შენიშვნები

1.ნახაზზე ყველა ცვლილება მშენებლობისას შეთანხმებული უნდა იყოს პროექტის ავტორთან
2.ფურცლის კორექტირებით ავტომატურად უქმდება წინა ვარიანტი

TASHUB

პროექტი: სასტუმრო

მისამართი: ქ. თბილისი, დოლაბაურის II ხევი, N35.
მტკვრის მარცხენა სანაპირო, ნაკვეტი: 48/003
ს.კ: 01.17.13.048.186

ფართობი:	2729 კვ.მ	კ3=545.8 კვ.მ (0,2)
ნაკვეთის მესაკუთრე:	შპს "ავლაბარი ჰოტელსი"	
	ს/კ: 405334598	

თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა
კომპანია (შპს)	ტასჰაბი	
დირექტორი	სერგო გირგაია	

პროექტის შემსრულებელი:	დამკვეთი:
შპს "ტასჰაბი"	შპს "ავლაბარი ჰოტელსი" ს/კ: 405334598

TASHUB

WWW.TASHUB.GE

დასარგავ მცენარეთა ექსპლიკაცია



ჰიმალაის კედარი/cedrus deodara
სიმაღლე: 3.0 მ.
გარშემოწერილობა 20 სმ



კავკასიური ცაცხვი/Tilia caucasica
სიმაღლე: 3.5 მ.
გარშემოწერილობა 20 სმ

დენდროლოგიური პროექტის საინფორმაციო დაფა

შემსრულებელი: შპს "ტასჰაბი"

მისამართი: ქ. თბილისი, დილაბაურის II ხევი N35, მტკვრის მარცხენასანაპირო,
ნაკვეთი: 48/003; ს.კ: 01.17.13.048.186

ნებართვის გამცემი ორგანო : ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის სააქალაქო სამსახური .

კ-3=545.8 კვ.მ (0.2)

დენდროლოგიური პროექტის შეთანხმების თარიღი :

დენდროლოგიური პროექტის დასრულების თარიღი : 2022 წელი

დასარგავი მცენარეები

15 ძირი კავკასიური ცაცხვი,სიმარლე 3.5მ. გარშემოწერილობა 20 სმ.
5 ძირი ჰიმალაის კედარი, სიმაღლე 3.0 მ. გარშემოწერილობა 20 სმ.

ტერიტორიაზე გადაირგვება 9 ძირი მწვანე ნარგავი

ახლადდარგულ ხე მცენარეების მოვლაზე პასუხისმგებელი პირი :
შპს "ავლაბარი ჰოტელსი"

ახლადდარგული ხე მცენარეების მოვლის ხანგრძლივობა : 3 წელი

